

საკვანძო კომუნიკაციები

№1. 2024



განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 2960-9895



9 772960 989008

საქპანძო კომპანია

N1. 2024

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუბაძე

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მანანა ზინჭარაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი

ნინო საღარაძე

სსიპ აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის
დირექტორი

მაკა თოღოშაძე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალბასთუმნის საჯარო სკოლის
ქიმიის მენტორი მასწავლებელი

ნარბიზ ზინჭარაძე

ქობულეთის #5 საჯარო სკოლის დირექტორი

ცირა ქობულაძე

ბათუმის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

ნინო ხუციშვილი-კახიძე

სსიპ თბილისის #32 საჯარო სკოლის დირექტორი

ირინა მაღალაძე

სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის #16
საჯარო სკოლის დირექტორი

მირის დანდურიშვილი

სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

შორენა შიუკაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის
სამინისტროს კარიერული დაგეგმვის სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: +995 (32) 2 200 220

ელ.ფოსტა: info@tpdc.ge

მისამართი:

თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6

მთავარი რედაქტორი

ანი კუდუხაშვილი

კორექტორი

მანანა ზინჭარაძე

დისაინერი

მარიამ ელიზბარაშვილი

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული
ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხედულებებს. ცალკეულ სტატიებში დასახელებული
ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

საჩვენებელი

სასკოლო არაფორმალური განათლება, როგორც
მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ერთ-ერთი
საუკეთესო საშუალება 5

პროექტების სწავლება 8

უცხო 11

ჯანსაღი ცხოვრება და უსაფრთხოება სკოლაში 13

მრავალფეროვნება, თანასწორობა ჩვენი სიამაყეა 16

ინოვაციური და გააქმეთ ღირს 18

განათლების სფეროში სერვისის სწავლისა და
კარიერული კონსულტაციის ხელშეწყობა 21

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო
დეპარტამენტი ახორციელებს საერთაშორისო
პროგრამის ლიდერობის პროგრამას (VLEP)

კარიერის ლეგენდის, კარიერული კონსულტაციის
სერვისების სერვისების
არსებული ვითარება, გამოწვევები, შესაძლებლობები
ახალგაზრდობისთვის 23



ნაქაბონის სპატი

ანი კულეხაშვილი

მთავარი რედაქტორი

არაფორმალური განათლების პროგრამის

მენეჯერი

ძირითადი კომპეტენციები გადამწყვეტია სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან სწორედ ეს კომპეტენციები ქმნის საფუძველს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და წარმატებისთვის.

ძირითადი კომპეტენციები მნიშვნელოვანია:

აკადემიური მიღწევებისთვის: ძირითადი კომპეტენციები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და ეფექტური კომუნიკაცია, აძლიერებს მოსწავლეების უნარს, გაიგონ და ჩაერთონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში; ასევე, ეხმარება მათ ინფორმაციის გაანალიზებაში, ცნებებს შორის კავშირის დამყარებასა და თავიანთი გაგების ნათლად გამოხატვაში, რაც განაპირობებს უკეთესი აკადემიური მოსწრების მიღწევას.

პიროვნული განვითარებისთვის: კომპეტენციები, როგორიცაა თვითმართვა, გამძლეობა და ადაპტირება, აუცილებელია პიროვნული ზრდისთვის. ისინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დასახონ მიზნები, ეფექტურად მართონ დრო, გაუმკლავდნენ გამოწვევებს და მოერგონ ცვალებად გარემოებებს. ეს უნარები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პიროვნული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

სოციალური უნარებისთვის: ინტერპერსონალური კომპეტენციები, მათ შორის, გუნდური მუშაობა, თანაგრძნობა და კონფლიქტების მოგვარება, გადამწყვეტია ჯანსაღი ურთიერთობების შესაქმნელად. ეს უნარები ეხმარება მოსწავლეებს, ითანამშრომლონ თანატოლებთან, გაეცნონ სხვადასხვა პერსპექტივას და კონსტრუქციულად გაუწიონ ნავიგაცია სოციალურ დინამიკას.

მომავლისათვის მზადებისთვის: სწრაფად განვითარებად სამყაროში ისეთი კომპეტენციები, როგორიცაა ციფრული წიგნიერება, კრეატიულობა და ინოვაცია, ამზადებს მოსწავლეებს, როგორც მომავალ სამუშაო ძალას/რესურსს.

მოქალაქეობისთვის: ძირითადი კომპეტენციები ხელს უწყობს მოსწავლეების პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად აღზრდას. ისეთი უნარები, როგორიცაა ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება, კულტურული ცნობიერება და სამოქალაქო ჩართულობა, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, თავიანთ ჯგუფებსა თუ საზოგადოებაში აქტიურად და პასუხისმგებლობით მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში.

უნყვეტი სწავლისთვის: სწავლისადმი სიყვარულის გაღვივება და დამოუკიდებლად/ავტონომიურად სწავლის უნარი წარმოადგენს უწყვეტი განათლების აუცილებელ კომპეტენციებს. ეს უნარები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეები დარჩნენ ცნობისმოყვარე და მოტივირებულ პირებად და მთელი ცხოვრების განმავლობაში შეეძლოთ ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა. ზემოაღნიშნული ძირითადი კომპეტენციების ხელშეწყობით, მასწავლებლებს შეუძლიათ დაეხმარონ მოსწავლეებს არა მხოლოდ აკადემიური წარმატების მიღწევაში, არამედ კარგად მომზადებულ, ქმედუნარიან და პასუხისმგებლობის მქონე პირებად ჩამოყალიბებაში, რათა მომზადებულები შეხვდნენ მომავლის გამოწვევებს. შესაბამისად, ჟურნალ „საკვანძო კომპეტენციების“ ახალ ნომერში, ჩვენი კოლეგების მდიდარ და გასაზიარებელ გამოცდილებას წარმოგიდგენთ.

წარმატებას გისურვებთ!



სასკოლო არაფორმალური განათლება, როგორც მოსწავლეთა ჰორიზონტი განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება

ნინოსალკაძე

სსიპ - აკაკი სურგულაძის სახელობის
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის
საჯარო სკოლის დირექტორი

თანამედროვე სკოლა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მსოფლიო ჯერ კიდევ ებრძვის პანდემიით გამოწვეულ სირთულეებს, რამაც მოსწავლეების ჩაკეტილობა, ერთმანეთთან გაუცხოება გამოიწვია; მძიმეა ოჯახების სოციალური ფონი. როცა მოსწავლეს არ აქვს დაკმაყოფილებული საბაზისო უნარები, სწავლა-სწავლების ეფექტიანობაზე საუბარი ზედმეტია; ცალკე თემა ემიგრაციაში მყოფი მშობლების შვილებთან დაკავშირებული პრობლემები. ისინი ჩაკეტილები, გაღიზიანებულები არიან, მოწყენილები დადიან, ხშირად აღმოჩნდებიან კონფლიქტის რომელიმე მხარე. შემამოფრთხილებელი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა დამოკიდებულება კომპიუტერული თამაშების მიმართ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულებას სპეციალური კოდი (ICD-11) მიანიჭა და დაავადებად ოფიციალურად აღიარა. კომპიუტერული თამაშის მოყვარულებს უჭირთ საკუთარი თავის კონტროლი, თამაშის დაწყებისა და დასრულების დროის განსაზღვრა. ეს და სხვა პრობლემები იწვევს მოსწავლის როგორც აკადემიურ ჩამორჩენას, ასევე სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრებიდან გათიშვას. გამომდინარე აქედან, საგანმანათლებლო ლიდერები და, ზოგადად, სკოლა მუდმივ ძიებაში ვართ, დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოსწავლეების საგანმანათლებლო და გაზრდილი ფსიქო-სოციალური საჭიროებები. ვცდილობთ, მათი უნარები პერსპექტივებად ვაქციოთ; ვასწავლოთ, როგორ გამოიმუშაონ ეს უნარები და წარმართონ ცხოვრებაში მათსავე სასარგებლოდ.

სკოლის დანიშნულება და მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ორ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში - „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ და „ეროვნული სასწავლო გეგმა“. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მისია მოსწავლის ჰორიზონტი (შემეცნებითი, ფიზიკური, ფსიქო-სოციალური) განვითარებაა. იმისათვის, რომ ესგ-ის მისია და მიზნები რეალიზდეს სკოლაში, უმნიშვნელოვანესია პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება; ეს გულისხმობს პირობებს, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

- კრიტიკული აზროვნება;
- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა;
- კომუნიკაცია;
- ხასიათი/ნებელობა;
- მოქალაქეობა.

ბუნებრივია, ჩამოთვლილი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების ჩამოყალიბება მხოლოდ ფორმალური განათლებით ვერ მიიღწევა. ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმა ხაზს უსვამს კლასგარეშე აქტივობების აუცილებლობას და ავალდებულებს სკოლებს, გამოიყენონ ისინი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად.

მაინც, რატომ კეთდება ამხელა აქცენტი სასკოლო არაფორმალურ განათლებაზე? ალბათ იმიტომ, რომ სასკოლო არაფორმალური განათლება, ფორმალური განათლების დამხმარე ინსტრუმენტი და ხელს უწყობს საკითხის სიღრმისეულ, მრავალმხრივ გააზრებას, ცოდნის ტრანსფერს, 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას, გუნდურ მუშაობას, საკუთარ თავში ახალი უნარების აღმოჩენას, მოტივაციას, კომუნიკაციას, თვითშეფასების ამაღლებას. ერთობლივ აქტივობებში მონაწილეობა ასოცირდება სუბიექტური კეთილდღეობის მაღალ დონეებთან, იდენტობის ფორმირებასთან და ემოციურ, სოციალურ, აკადემიურ და კარიერასთან დაკავშირებული უნარების განვითარებასთან. კლასგარეშე აქტივობებში ჩართვა ასევე დაკავშირებულია თვითრეგულირების მექანიზმების განვითარებასთან, რაც, თავის მხრივ, ასოცირდება აკადემიურ წარმატებასთან და მოსწავლის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობასთან. სწორედ ეს უნარები ეხმარება მოზარდს საზოგადოებაში ინტეგრირებასა და ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში. გარდა ამისა, სასკოლო არაფორმალური განათლების კვლევამ ხაზგასმით აჩვენა, რომ სასკოლო არაფორმალურ აქტივობებში ჩართულ მოსწავლეებს უჩნდებათ სკოლისადმი მიკუთვნებულობა და კავშირის გრძნობა. სკოლის მხრიდან მიღებული მხარდაჭერა მოსწავლეს უჩენს შინაგან მოტივაციას და უკეთ სწავლის სურვილს.

საგანმანათლებლო სისტემის გასაცნობად ვიმყოფებოდი ბელგიაში. ვიზიტის მიზანი იყო დასაქმებისა და მომავალი წარმატების (კარიერის) მხარდაჭერის სისტემის ევროპული გამოცდილების გაზიარება. ამასთან ერთად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამის ფარგლებში, გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროგრამის მიზანია - სერვისის სწავლებისა და კარიერული კონსულტაციის ხელშეწყობა განათლებაში. ორი სახელმწიფოს მაგალითზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ქვეყნებში მოსწავლეებს არაფორმალური განათლება მიეწოდებათ დამხმარე პროგრამებისა და კლუბების სახით. მიწოდებული სერვისები მრავალფეროვანია და მორგებულია კონკრეტული სკოლის (ბელგია), შტატის (აშშ) ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლის მოსწავლეები დამხმარე სერვისებით უზრუნველყოფილნი არიან არა სკოლის, არამედ მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების ან სათემო პროგრამების საშუალებით.

ახლა კი გაგიზიარებთ ჩვენი სკოლის გამოცდილებას - როგორ ვცდილობთ მოსწავლეთა ჰოლისტიკურ განვითარებას არაფორმალური განათლების შეთავაზების გზით.

იმისათვის, რომ არაფორმალური განათლება მიზანმიმართულად წარიმართოს, მნიშვნელოვანია როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელების ეტაპები. ამიტომ, დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ფორმით ვრთავთ ყველა იმ რგოლს/ორგანიზაციას (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, მოხალისე, სათემო/არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვ.), რომელთა მონაწილეობითაც ვფიქრობთ სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა არაფორმალური აქტივობის, პროექტისა თუ პროგრამის განხორციელებას; ვსაზღვრავთ, ჰყავს თუ არა სკოლას შესაბამისი ადამიანური რესურსი, ხომ არ არის საჭირო მოხალისის ან პარტნიორი ორგანიზაციის დახმარება. საჭიროების შემთხვევაში, გადამწყვეტია პარტნიორის კომპეტენცია, გამოცდილება და რეპუტაცია. აქტივობების განხორციელებისას ვაკვირდებით თუ მიმდინარეობს კლასგარეშე აქტივობები სასწავლო მიზნის შესაბამისად, საინტერესოდ და უსაფრთხოდ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, აქტივობებში ჩართული იყოს ყველა მოსწავლე და არა მარტო აკადემიურად წარმატებული. კლუბების მხარდასაჭერად ვცდილობთ ბიზნესის დარწმუნებას, რომ ჩართულობით სასარგებლო და სამომავლო საქმეს გააკეთებენ. კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, უზრუნველყოფთ თემის ინფორმირებულობას, რადგან თემის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რას აკეთებს სკოლა.

მოსწავლეთა მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით სკოლაში ჩამოვყალიბეთ კლუბები, წრეები. მოსწავლეებს ვუტარებთ ტრენინგებს აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე; ვაწყობთ ფილმების ჩვენებასა და განხილვას; ვგეგმავთ შეხვედრებს ნიგნების ავტორებთან, ცნობილ ადამიანებთან, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან; ვახორციელებთ სასკოლო პროექტებს. სწორედ რამდენიმე პროექტს გაგაცნობთ უფრო ვრცლად.

პროექტი „მენარმეობის სწავლებით სკოლისა და თემის ერთობა“ სკოლისა და სოფლის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. პროექტის მიზანი იყო: მოსწავლეებში მენარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ინიციატივების გამოვლენასა და მის საქმედ ქცევაში მხარდაჭერა; პიროვნული, საქმიანი და ლიდერის თვისებების განვითარება; თემისა და საზოგადოების წევრთა ჩართვა სასკოლო ინიციატივებში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ ახდენდა სხვადასხვა საგნის მასწავლებელი მენარმეობის, როგორც გამჭოლი კომპეტენციის, ინტეგრირებას სასწავლო დისციპლინაში. მოსწავლეებს ჩაუტარდათ სემინარი კოლეჯ „ჰორიზონტის“ სპეციალისტის მიერ. სკოლის მოსწავლეებმა ინფორმაცია შეაგროვეს თემში მცხოვრებ მენარმეებზე, ეწვივნენ სახელოსნოში (ჩიჩილაკის დამამზადებელი, გურული ხალხური საკრავის - ჩონგურის ოსტატი) და ადგილზე გაეცნენ მათ საქმიანობას. მოსწავლეებმა დაამზადეს საახალწლო ნაძვის ხის სათამაშოები, გაყიდეს; შემოსული ფულით შეიყიდეს სასურსათო და საყოფაცხოვრებო ნივთები და დაურიგეს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცებს, მრავალშვილიან და შეჭირვებულ ოჯახებს (მხარდაჭერა აღმოუჩინეს 15 ოჯახს). სკოლის ინიციატივითა და ორგანიზებით სკოლის წინ მდებარე პარკში მოვანყვეთ წინასაახალწლო ბაზრობა ადგილობრივი მენარმეების (მეფუტკრე, მევენახე, მეღვინე, მეყვავილე, მებოსტნე, ჩაის დამამზადებელი) მონაწილეობით. მოსახლეობამ და ადგილობრივმა მენარმეებმა გასაყიდად გამოიტანეს თავიანთი საწარმოებში, საკუთარ კარ-მიდამოში მოწეული პროდუქტი თუ დამზადებული ნაწარმი: თაფლი, ყველი, ჩურჩხელა, მარინადები, ხილი, ბოსტნეული, კაკალი, ასევე, შინაური ფრინველი. ბაზრობაზე სოფელს ბევრი სტუმარი ჰყავდა. მოსწავლეებმა ადგილობრივ მენარმეთა ცნობადობის გაზრდის მიზნით, დაამზადეს ფლაერები და გაავრცელეს თემსა და ახლომდებარე სოფლებში.



ბოლო ორი წლის განმავლობაში არანაკლებ მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელეთ. პროექტი „სამოყვარულო ვენახიდან სამეწარმეო ვენახისაკენ“ მიზნად ისახავდა ადგილობრივი ყურძნის ჯიშების შესახებ თემში არსებული ცოდნის შეგროვებას; სასკოლო დისციპლინების ინტეგრირების გზით, კვლევა-ძიების უნარების განვითარებას; ხოლო პროექტის „ხიდი მომავლისაკენ“ მიზანი იყო - მრავალფეროვანი გარემოს არსისა და მისი მნიშვნელობის გააზრების ხელშეწყობა შემოქმედის საჯარო სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თემის წარმომადგენლების მიერ; სასწავლო პროცესებსა და არაფორმალურ განათლებაში აღნიშნული თემის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებისთვის ჩავატარეთ სემინარები, სადისკუსიოდ მოვინვიეთ დარგის სპეციალისტები. ორივე პროექტის ფარგლებში ჩატარდა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია.

კონფერენციისთვის მზადება 2-3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პირველ ყოვლისა, კონფერენციის დებულებას ვაცნობთ საგნობრივ კათედრებსა და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. მოსწავლეები ინტერესების მიხედვით ერთიანდებიან საგნობრივ გუნდებში. გუნდებს მენტორობას უწევენ საგნის მასწავლებლები. საკონფერენციო თემებიდან გამომდინარე, იგეგმება და ეწყობა თემატური ექსკურსიები, ტარდება მცირე კვლევები, ინერება ინტერვიუები. მოსწავლეები მოიპოვებენ, ეცნობიან, ახარისხებენ და ამუშავენ საჭირო მასალას საკონფერენციო თემებისთვის. ამზადებენ პრეზენტაციებს და წარუდგენენ ფართო აუდიტორიას. საკონფერენციო თემებზე დაყრდნობით წერენ საგაზეთო სტატიებს, რომლებსაც ვაქვეყნებთ ადგილობრივ პრესაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამივე პროექტი დაფინანსდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში.



სკოლის მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებების მრავალფეროვნება, შესაძლებლობას აძლევს სვადასხვა მზაობის მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს პროექტში სასურველ ეტაპზე. აღნიშნულ აქტივობებში ჩართულობით მოსწავლეებმა:

- აიმაღლეს თვითშეფასება;
- განიმტკიცეს თავდაჯერებულობა;
- მიეჩვივნენ გუნდურ მუშაობას;
- დაამყარეს სოციალური ურთიერთობები სხვებთან;
- შეიძინეს მეგობრები;
- შეძლეს სტერეოტიპული შეხედულებების დაძლევა;
- გაუჩნდათ სკოლის მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობა;
- მოსწავლეებისთვის სკოლა უფრო საინტერესო გახდა;
- გაუმჯობესდა მოსწავლეთა უნარ-ჩვევები;
- ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

სამწუხაროდ, არაფორმალურ განათლებაში მოსწავლის ჩართულობა განმსაზღვრელი შეფასებით არ ფასდება. სასურველია, სასკოლო არაფორმალურ აქტივობაში ჩართულობა მოსწავლის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი იყოს და საერთო შეფასებაში განისაზღვროს მისი ხვედრითი წილი. შეფასების ეს ფორმა ნაახალისებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც გაკვეთილზე არ გამოირჩევიან აქტიურობით, მაგრამ არაფორმალურ აქტივობებში სიამოვნებით ერთვებიან.

სასკოლო საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას როგორც გაკვეთილზე, ასევე არასაგაკვეთილო შეხვედრებისას. უფრო მეტიც, ეს სკოლის ყოველდღიური საზრუნავი უნდა გახდეს. პროცესი ორგანიზებულად რომ წარიმართოს. სასურველია, აღნიშნული თემის მნიშვნელობას ხაზი გაესვას სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში - სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში. შესაძლებელია ასევე, სკოლამ შექმნას პოლიტიკის დოკუმენტი - როგორ გაუმკლავდება ამ ტიპის გამოწვევებს. სწორედ ეს არის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. <https://www.who.int/classifications/classification-of-diseases>



პროექტებით სწავლება

ბაკატოლოგია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ახალაბასთუმნის საჯარო სკოლის
ქიმიის მენტორი მასწავლებელი

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების სწავლებისას ეფექტურია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, პროექტებით სწავლება, რომელიც სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სწავლების მეთოდისგან. ის ავითარებს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარს, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარს და ა. შ.. მისი გამოყენება ნებისმიერი საგნის სწავლების დროს ქმნის საინტერესო სასწავლო გარემოს მოსწავლეებისთვის, რომელთა მეშვეობით იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია, მათი ჩართულობა, STEM საგნებისადმი ინტერესი.

ყველა საგანში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ე.წ. სამიზნე ცნებები, რომელთა ფლობა და გააქტიურება მთელი საფეხურის განმავლობაში უნდა მოხდეს, შუალედური მიზნების დაგეგმვით. შუალედური მიზნებს წარმოადგენს ან საგნობრივი კომპლექსური დავალებები, ან ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები. პროექტი უპრობლემოდ ასრულებს შუალედური მიზნის მისიას. მოსწავლეები მზად არიან ისაუბრონ მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ, მოახერხონ სიღრმისეული წვდომა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს წინასწარ უნდა იყოს განერილი მიზანი, სამიზნე ჯგუფები, განსაზღვრული პედაგოგიური ჩამონათვალი, მათი შესრულების ვადები, სასწავლო რესურსები, შედეგი, პროექტის რეფლექსია, რაც მოსწავლეებს და მასწავლებელს დაეხმარება ნამუშევრების შეფასებაში. მიზნა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება ერთ-ერთი პროექტის შესახებ, როცა სხვა ქვეყანაში მცხოვრებ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ერთად ვიმუშავეთ. მათ მოსწონთ ახალი მეგობრების შეძენა, მათი გაცნობა და ინგლისურად საუბარი. პროექტს ვახორციელებთ etwinning-ის ფარგლებში. ეს არის პორტალი, სადაც შეგიძლიათ ევროპის ქვეყნებში და არა მარტო ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ კოლეგებთან ერთად განახორციელოთ პროექტები თქვენთვის სასურველ თემაზე.

მე და ჩემმა STEM კლუბის მოსწავლეებმა ვიმუშავეთ პროექტზე: "eTwinning Science Fest", სადაც მონაწილეობა მიიღეს 14-დან 16 წლამდე ასაკის მოსწავლეებმა. პროექტში ჩართულნი იყვნენ მასწავლებლები და მათი მოსწავლეები 5 ქვეყნიდან - Turkey(3), Spain(3), Georgia(3), North Macedonia(1), Croatia(1).


პროექტის მიზანი იყო წაგვეხალისებინა მოსწავლეები, რომ:

- განეხორციელებინათ სამეცნიერო კვლევები; მიგვეწოდებინა მათთვის სამეცნიერო კვლევის მეთოდები და ტექნიკა;
- გაეუმჯობესებინათ ციფრული წიგნიერება და პრიორიტეტულად მიჩნეული მიმართულებები, როგორიცაა: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება.
- ასევე, მოსწავლეთა კრეატიულობისა და ინოვაციურობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, პრეზენტაციისა და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარება.



პროექტის ეტაპები:

- **ეტაპი პირველი:** პროექტის პარტნიორების შეხვედრა და სამუშაო გეგმის განხილვა;
- მოსწავლეებისა და მასწავლებლების იდენტიფიცირება, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას პროექტში და დარეგისტრირდნენ **Twinspace-ზე**; **Padlet-ზე** მუშაობის შესწავლა და მონაცემების განთავსება კოლაბორაციულად როგორც ქართულ, ასევე უცხოელ კოლეგებთან და მოსწავლეებთან ერთად; მოსწავლეებმა შეისწავლეს ციფრული პროგრამები: **thinglink.com**; **wordclouds.com**, **bookcreator** და სხვა.
- მშობლის თანხმობის წერილების შექმნა მოსწავლეთა ფოტო და ვიდეო მასალის განთავსებაზე, საჭიროებისამებრ;
- სკოლების, სკოლის გუნდების, ქვეყნებისა და ქალაქების წარდგენა;
- საკუთარი სკოლის მონიშვნა **Google map-ზე**;



- **პროექტის ლოგოს შერჩევა კონკურსით;** (გამოკითხვით);
- სამეცნიერო გამოწვევები ყოველდღიური ცხოვრებიდან; ელექტრონული წიგნის შექმნა კოლაბორაციულად. ინფორმაციის მოძიება მკვდარი ზღვის შესახებ, მეცნიერული ახსნა თუ რატომ არ იძირება ადამიანი მკვდარ ზღვაში, გამოსახვა ფორმულებით.
- სამეცნიერო გამოფენისთვის სამუშაო ჯგუფებისა და პროექტის თემების განსაზღვრა და მასალების მომზადება.

- **ეტაპი მეორე:** ალკანები და პირამიდები (მოდელების აგება);

ხეოფსის პირამიდა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რატომ შეიცავს ნავთობი ნაჯერ ნახშირწყალბადებს და არა უჯერებს. მეთანს, რომელიც ალკანების უმარტივესი წარმომადგენელია, პირამიდის მსგავსი აღნაგობა აქვს.

ნახშირბადატომი, ფარაონის მუმის მსგავსად, ამ პირამიდის შუაგულში „განისვენებს“, წვეროებში კი წყალბადის ატომები მოკალათებულან გუშაგებად. ნახშირბადატომისკენ მიმავალი ყველა ბილიკი ყველა მისადგომიდან ერთნაირია, მოლექულა უზადოდ სიმეტრიულია და სწორედ ეს უზადო სიმეტრიულობას სძენს მას იმ სტაბილურობას, რომელსაც შეუძლია საუკუნეებს გაუძლოს, მომხდური ნაწილაკები აირიდოს, რეაქციაში არ შევიდეს.

წყარო:

https://el.ge/articles/project_tasks/articles/task/535067

- **ეტაპი მესამე:** მოსწავლეებმა განსაზღვრეს საკვების ენერგეტიკული ღირებულება კაკალში, თხილსა და ყველ „ტენილში“ (მოიძიეს ინფორმაცია ყველი „ტენილი“-ს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიული წყაროების შესახებ, ასევე, შეისწავლეს მომზადების ტექნოლოგია, ააწყვეს ხელსაწყო კალორიმეტრი თუნუქის ნარჩენი კოლოფებისაგან და დაუბრუნეს მეორად ნივთებს სიცოცხლე). გამოყოფილი სითბოს რაოდენობის მიხედვით, გამოთვალეს რამდენი კალორია იყო საკვლევ ნიმუშებში. მოაგროვეს მონაცემები, მოახდინეს გაციფრულება, ანარმოეს მათემატიკური გამოთვლები და შედეგები განათავსეს პოსტერზე. გასცეს რეკომენდაციები პროდუქტების კალორიულობასთან დაკავშირებით: „დაივიწყეთ ყველა დიეტა, ახლა დროა ყურადღება მიაქციოთ დღიური კალორიების მიღებას. ხელსაწყო გამოყენებით შეძლებთ დათვალოთ კალორიები სახლში და არ მიიღოთ საჭირო დღიურ ნორმაზე მეტი. ჯანსაღი კვება, ჯანსაღი ცხოვრების წინაპირობა“.
- მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტი უმაღლესი სასწავლებლის ლაბორატორიაში;

- **ეტაპი მეოთხე:** მიიღეს მონაწილეობა კონფერენციაში, სადაც ჩატარდა პოსტერების პრეზენტაცია.
- ბოლოს მოხდა საერთო პროდუქტების მომზადება და შედეგების გავრცელება;
- გაიგზავნა პროექტის რეზიუმე ეროვნული ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად.
- **დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას: რაც უფრო სწორად გამოიყენებს მასწავლებელი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, მით უფრო წარმატებული იქნება პროექტი და მოსწავლეები ახალ უნარებს შეიძენენ, განიმტკიცებენ უკვე არსებულ ცოდნას, პრაქტიკაში გამოიყენებენ ნასწავლს, შეძლებენ მოახდინონ ნასწავლის ტრანსფერი და მოემზადონ თანამედროვე ცხოვრებისთვის.

საბოლოო პროდუქტის ლინკები:

- <https://joom.ag/WuRd>
- <https://docs.google.com/presentation/d/1KzMUNNTIyDFc-gjJgJ5BEvHRhnwUMvKYT3BVTpGlwNk/edit?usp=sharing>

პროექტი არის საერთაშორისო; მიიღო ეროვნული ხარისხის ნიშანი.

ჩვენი სკოლის მონაწილეობით, პროექტებმა მოიპოვა ეროვნული და ევროპის ხარისხის ნიშნები, ასევე, წარდგენილია ევროპის პრიზზე.





უცხო

ნარგი ჯინჭარაძე

ქობულეთის #5 საჯარო სკოლის დირექტორი

სამყარო და ადამიანის ცხოვრებაც საინტერესო და მიმზიდველია მისი მრავალფეროვნებით, მაგრამ ამის აღქმა და სასარგებლო რესურსად გამოყენება გვიჭირს. პირიქით, მიდრეკილი ვართ, ხელოვნურად შევქმნათ ბარიერები და შემდეგ ვინუნუნოთ ყოფით სირთულეებზე. ვფიქრობ, ეს ტენდენციური დამოკიდებულება, როდესაც შენი კულტურისგან განსხვავებულს აღიქვამ, როგორც სხვას - „არანორმალურს“ და „უნესოს“, ხელს უწყობს უმცირესობათა მარგინალიზებას.

სწორედ, ასეთ მარგინალურ ჯგუფთან, ბოშებთან ურთიერთობამ შეცვალა ჩემი, როგორც სკოლის დირექტორის და მასწავლებლის ცნობიერება. მივხვდი, რომ რაც აქამდე ვიცოდი არ იყო საკმარისი, იმისთვის რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეგვექმნა ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ მიხედვით სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. იყოს კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქე.

ასე დავინწყეთ ეთნიკურად ყველაზე მრავალფეროვან, ქობულეთის #5 საჯარო სკოლაში რეალობის შეცვლა. რაც მეტი იყო განსხვავებული კულტურის მქონე მოსწავლე, მით მეტი სირთულე გვხვდებოდა, მით მეტი იყო ჩასაფრებული საზოგადოებრივი საფრთხე.

ეს საკმაოდ რთული გამოწვევა იყო და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებდა. ბოშები ტრადიციულად ასოციალური ეთნიკური ჯგუფია ყველა სახელმწიფოში, ამიტომაც, რომ 19-ე საუკუნის ევროპულ ლიტერატურასა და თანამედროვე კინემატოგრაფიაში თავისუფლებისა და რომანტიზმის სიმბოლოდ იქცა ბოშა ქალი ესმერალდასა და კარმენის სახით. ნების თავისუფლება მათში დღესაც ნამყვანი ცხოვრებისეული ხაზია და მათთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. დავაკვირდი - თუ გეცოდება ეს მათში ზიზღს იწვევს, სიყვარული უნდა აგრძნობინო, რომ გენდოს.

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 1989 წელს აჭარაში მხოლოდ 126 ბოშა იყო რეგისტრირებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არაზუსტი ციფრი იყო.

ჩვენი კვლევით დღეს, 350-მდე ბოშა ცხოვრობს. სტატისტიკური უზუსტობა გამოწვეულია იმით, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას პირადობის მოწმობაც კი არ გააჩნდა, არ სარგებლობდნენ არანაირი სახელმწიფო მომსახურებით და შესაბამისად იურიდიულად არც კი არსებობენ. ამაზე მეტი სოციალური ტრაგედია რა უნდა იყოს, როდესაც ამხელა ეთნიკური ჯგუფი არ ფიქსირდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვერ ახერხებენ ურთიერთობას ეთნოკულტურული განსხვავებულობის გამო.

სწორედ, მათი სამოქალაქო ინტეგრაცია გახდა ჩვენი მომავალი საქმიანობის სამიზნე. ყურადღებამ, გულისხმიერებამ, უანგარო დამოკიდებულებამ შედეგი გამოიღო. შესაძლებელი გახდა ამ ჩაკეტილ სოციალურ ნდობა მოგვეპოვეთ და „მიუნვდომელი ინფორმაცია“ მათი ცხოვრების წესის შესახებ, ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

საქმეს თანმიმდევრულად შევუდექით. კულტურულ გაუცხოებას თან ემატებოდა მძიმე სოციალური ფონი, გელაურის ბოშების უმრავლესობა, ასაკის მიუხედავად საშოვარზე იყო გასული და საგანმანათლებლო საკითხებით მათი დაინტერესება ძალიან რთული იყო. თავდაპირველა შევქმენით საინიციატივო ჯგუფი - „ქობულეთელი ბოშები“. დავინწყეთ საზაფხულო საგანმანათლებლო კურსების და საკვირაო გაკვეთილების ჩატარება. დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია - „ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად“ და დავინწყეთ მიზნობრივი სახსრების მოძიება უფრო მამტაბური ღონისძიებებისთვის. ბოშა მამაკაცებისათვის გავხსენით ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის შემსწავლელი კურსები და დავეხმარეთ მათ მართვის მოწმობების მიღებაში. პარალელურად ბოშა ქალთათვის ჭრა-კერვის შემსწავლელი ჯგუფები შევქმენით.

2013 წლისათვის ღონისძიებები უფრო გაფართოვდა. დაახლოებით ოცმა ბავშვმა დაიწყო სკოლაში სიარული, ჩვენი დახმარებით, და ისინი დღეს განათლებას სხვა ბავშვებთან ინტეგრაციის კვალდაკვალ იღებენ. ასევე, დავინწყეთ ბოშებისათვის პირადობის მოწმობების და სხვა სახელმწიფო დოკუმენტების მიღებისათვის ზრუნვა.

ჩვენი ძალისხმევით, ჩამოვყალიბეთ მუსიკისა და ცეკვის ბოშათა ანსამბლი, შევუძინეთ მათ მუსიკალური ინვენტარი და მოვახდინეთ ბოშური ფოლკლორის ჩანერა. 2013 წელს გელაურის ბოშათა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ ფესტივალ „არტგენში“. ხშირად იმართება მათი კონცერტები მუნიციპალური მაშტაბით. ბავშვებმა ისწავლეს წერა-კითხვა ქართულ ენაზე და მათემატიკის საფუძვლები. მიეჩვივნენ პირადი ჰიგიენური ნორმების დაცვას. ვფიქრობ, შედეგები თვალსაჩინოა.

შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობით თითქმის ყველა ბოშას, ჩვენი დახმარებით, დაუმზადეს დაბადებისა და პირადობის მოწმობები, რის შემდეგაც ბოშათა ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სოციალური დახმარებისა და საგანმანათლებლო სერვისები.

2014 წლიდან სკოლა აქტიურადაა ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროგრამაში „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“.

სკოლას დღემდე ყოველწლიურად, გრანტის სახით, აქვს დაფინანსება. პროექტი „შინაარსიანად გავატაროთ თავისუფალი დრო“ ხელს უწყობს დაწყებითი კლასებისა და უფროსკლასელი ბოშა მოზარდების ჩართვას არაფორმალურ განათლებაში თანატოლებთან სოციალიზაციის გზით.

ამ პროექტის დახმარებით ხდება ბოშა მშობლების ცნობიერების ამაღლება მათი შვილების განათლების საჭიროებების თაობაზე და თანატოლებთან სოციალიზაციის გზით დაწყებითი და უფროსკლასელი ბოშა მოზარდები იმაღლებენ სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს. ბოშა და ქართველი მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით წლების განმავლობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი: თეატრალური, ცეკვის, ხელგარჯილობის, ფეხბურთის, ინგლისური ენის, მხატვრული კითხვის, დეკლამაციის. კლუბურმა მუშაობამ ხელი შეუწყო ბოშა მოზარდთა სოციალიზაციის პროცესს.

ამჟამად, ჩვენს სკოლაში 70-მდე ბოშა ირიცხება. მათი დიდი ნაწილი ინტეგრირებული და ადაპტირებულია სასკოლო გარემოს, მაგრამ პრობლემა მაინც ბევრია. დაწყებითი საფეხურის დაძლევის შემდეგ, ბოშა მოსწავლეებს მშობლები ავალდებულებენ იზრუნონ მათ მცირეწლოვან დაძმაზე, საბაზო საფეხურიდან მათი თითქმის ყველა არ ან ვეღარ აგრძელებს სწავლას.

კარგი ფაქტებიც გვაქვს. დასაქმების ხელმისაწვდომობისთვის, ვეხმარებით მსურველ ბოშას ახალგაზრდებს მიიღონ პროფესიული/სახელობო განათლება. ტრადიციული „ქუჩის გადაყიდველის“ ნაცლად, გახდნენ ბარმენები, აიტ სპეციალისტები, სტილისტები. კარგი მაგალითია ისიც, რომ ბოშათა თემიდან განსხვავებულ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანი, მათთვის მოდელად გადაიქცა და ბევრი მიმბაძველიც გამოუჩნდა. ამ თემში გაჩნდნენ სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები: ცეკვის კლუბის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორის ასისტენტი, ფეხბურთის მასწავლებელი, გიტარის მასწავლებელი, სტილისტი, მეზღვაური, ბარმენი, აიტ სპეციალისტი, დასუფთავების თანამშრომელი.

ჩვენი მოსწავლეებისთვის, მსგავსი მოდელები მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. ცდილობენ უფრო მეტად იყვნენ ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. უკეთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა. სკოლა აღარაა „უცხო“ და ხელმიუწვდომელი. ვფიქრობ, ბოშა მოსწავლეც და მშობელის თავს ამ სასკოლო საზოგადოების თანასწორ და თანაბარუფლებიან წევრად თვლიან.





ჯანსაღი სხოვნება და უსაფრთხოება სკოლაში

სირა ქობულაძე

ბათუმის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

სკოლის როლი განუსაზღვრელად დიდია ახალი თაობის ფორმირების საქმეში, ახალი თაობა კი ქმნის ქვეყნის მომავალს. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულია იმ მდგომარეობაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. სწორედ ჩვენ უნდა უზრუნველყოთ ეს მდგომარეობა, რაც სხვადასხვა ფაქტორს მოიცავს; უმნიშვნელოვანესი კი ადამიანური რესურსია.

გამბობთ, რომ „კარგი სკოლა წარმატებული განათლების საწინდარია“ - რას ნიშნავს ეს? როგორია კარგი სკოლის მოდელი?

რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია გონიერი, განათლებული და აქტიური პედაგოგი, რომელიც არა მხოლოდ თეორიულ სწავლაზე, არამედ გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

სკოლა უნდა იყოს ორგანიზებული დანესებულება, სადაც ბავშვი თავს გრძნობს კომფორტულად, იცავს ეთიკურ ნორმებს. აქ უნდა იყოს ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულება, რაც აყალიბებს ეროვნულ ზნეობას, მაღალ კულტურას, მკვეთრ ლოგიკას და, საბოლოოდ, შემოქმედებით მიდგომებს.

ყოველივე ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ასეთი კეთილგანწყობილი, კომფორტული, თანასწორუფლებიანი, სწავლაზე ორიენტირებული, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა.

სწორედ ასეთი გარემოა შექმნილი სსიპ ბათუმის მე-16 საჯარო სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ცირა ქობულაძე.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაა, რასაც სხვადასხვა აქტივობით ახორციელებენ სკოლაში ჩამოყალიბებული საგნობრივი კათედრები.

ფიზიკური აღზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დისციპლინაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბავშვის როგორც ფიზიკური, ისე შემეცნებითი, მეტყველებისა და სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებაში; ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას და მოსწავლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში აქტიური მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მოტივაციის ამაღლებას.

ზოგადი განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის და ამ თემებიდან ერთ-ერთი სწორედ ჯანსაღი ცხოვრების წესია.

ამ კუთხით სკოლაში წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. მაგალითისთვის, განხორციელდა პროექტი „რომ მიაღწიო, უნდა იცოდე!“



პროექტის მიზანი იყო სასკოლო თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტი მოიცავდა შემდეგ სამიზნე ამოცანებს:

- ჯანსაღი ცხოვრების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა
- ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.
- დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
- შეხვედრა ბესიკ ციცავთან (როგორც დანყებით, ისე საბაზო-საშუალო საფეხურზე)
- შეხვედრა თამარ მხატვართან
- მხატვრული ფილმის (მე ვარ ზღაპრანი) ჩვენება-განხილვა
- პოსტერებისა და ვიდეორგოლების შექმნა ჯანსაღი ცხოვრების წესზე
- კულინარული დუელი
- ველომარათონი

სკოლაში განხორციელებული ყველა აქტივობა ინტერაქტივშია ბიოლოგიასა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებთან.

ასევე განხორციელდა პროექტი, რომელიც მიეძღვნა მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ არის გამოცხადებული. ამ საკითხზე ახალგაზრდების ინფორმირებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია მათი კეთილდღეობისთვის.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სკოლაში გაიმართა მრავალფეროვანი აქტივობები:

1. დილა ვარჯიშით (მოსწავლეებმა მოამზადეს ფლემობი და ვარჯიში მუსიკის ფონზე)

2. შეხვედრა ნითელი ჯვრის ორგანიზაციის წევრებთან (შეხვედრაში მონაწილეობდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები), შეხვედრის მიზანი იყო ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდა და მათი რეპროდუქციული ჯანმრთელობის სტატუსის გაუმჯობესება.

3. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიმართა შეხვედრა თემაზე „ნაადრევი ქორწინება“. შეხვედრას უძღვებოდა მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი თამარ ორაგველიძე.

4. მოეწყო საინფორმაციო ექსკურსია ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში თემაზე: გავრცელებული დაავადებები და მათი პრევენცია.

5. შედგა შეხვედრა თემაზე: „ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, კანონი და არსებული პრაქტიკა“, რომელიც წარმართა სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა ინგა გეგეშიძემ. შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ჯანდაცვის მიმართულებით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გაცნობა და არასრულწლოვანი პაციენტების უფლებების შესახებ მათი ინფორმირება.

6. საჯარო ბიბლიოთეკაში მოსწავლეებმა მოისმინეს ლექცია თემაზე: „როგორ გავუძლოთ კრიზისებს და ვიპოვოთ მათში ახალი შესაძლებლობები“.

7. ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მოაწყვეს საინფორმაციო აქცია „ვაქცინაციით დავამარცხოთ პაპილომა ვირუსი“ და დაარიგეს საკუთარი ხელით შექმნილი ფლაერები.

8. ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებელი მინვეულნი იყვნენ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში.

9. მოსწავლეებმა შექმნეს დიდი ზომის პოსტერები და მოაწყვეს მსვლელობა.



ჯანსაღ ცხოვრებას მისაწვდომს ხდის „ემოციური კეთილდღეობა“, რაც გულისხმობს პოზიტიური აზრების მობილიზებას, შინაგანი ცოდნისადმი ნდობას, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სიყვარულს, თანადგომას... ასევე, სტრესების დაბლოკვას უკეთესი მომავლის წარმოსახვის საშუალებით. ამიტომაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში გვეხმარება ლიტერატურა და ხელოვნება. პროექტი განხორციელდა თემაზე: „ადამიანის ლიტერატურული და ბიოლოგიური იდენტობა“ და მისი მიზანი იყო იმ კანონზომიერების ამოცნობა და გათავისება, რომელიც არსებობს სამყაროში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა:

1. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ბუნების ნიაღში მოენყოვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ მხატვრული კითხვა;
2. საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურა-ბიოლოგიის ინტეგრირებული კონფერენცია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობით.

საკონფერენციო თემები იყო:

1. სიყვარულის მეტამორფოზა
2. ბუნებაში განმარტებული ადამიანი
3. სიყვარული, როგორც ბიოლოგიური ფენომენი.

ჩატარებული აქტივობები მისაწვდომი იყო სკოლის მთელი კონტინგენტისთვის, რასაც ხელი შეუწყო სკოლაში ტელესტუდია „TV-16“-ის ფუნქციონირებამ. მოსწავლე „ჟურნალისტები“ კრებენ მასალებს, იღებენ ინტერვიუებს და თვეში ორჯერ გადიან პირდაპირ ეთერში.

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სარეკომენდაციო პროექტებიდან შევარჩიეთ რამდენიმე პროექტი, მათ შორის: „გარდატეხის ასაკის ლაბირინთები“. სასწავლო პროცესში ხდება იმ პროექტების ინტეგრირება, რომლებიც უკავშირდება მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების სამიზნე ცნებებს. თემა გახლავთ მოზარდის ასაკობრივი განვითარება. პროექტის დასაწყისში შეხვედრები დაეთმო მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთას, თეორიული მასალის დამუშავებას. პროექტით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები იყო:

- სოციალური გვერდის შექმნა სახელწოდებით: „გარდატეხის ასაკის ლაბირინთები“
- კვლევა
- საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრა
- შეხვედრა ფსიქოთერაპევტთან (ცირა ფუტკარაძე)
- ესეების (მოზარდის ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება) კონკურსი სკოლებს შორის.
- ვიდეო რგოლების კონკურსი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის.

ფსიქოლოგები, პედაგოგები და სოციალური მუშაკები შეხვედრებს გააგრძელებენ მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის აქტუალურ თემებზე.

ყოველივე ეს ხელს უწყობს ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს. ყველა გონიერი ადამიანისათვის ასეთი ორმხრივი ჰარმონია ბედნიერების საფუძველია; სკოლის მიზანიც სწორედ ბედნიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული, ყოველმხრივ დაბალანსებული მომავალი თაობის აღზრდაა.

ჩვენი სკოლა კვლავაც განაგრძობს სიახლეების დანერგვას მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.





მნავარწონება, თანასწორობა ჩვენი სიამაყეა

ნინო ნუსიძე-კახია

სსიპ თბილისის #32 საჯარო სკოლის დირექტორი

ზაფხულის მსუთავი სიცხისა და სასკოლო საკითხებზე სჯა-ბაასისაგან გათანგულები, ის იყო, სამუშაო დღის ბოლოს სკოლიდან გასავლელად მოვემზადეთ, რომ თქვენთან არიანო, მითხრეს და ოთახში სახედანისლული მამაკაცი და სევდიანი გოგონები შემოვიდნენ. მათი მზერა დარდს, მოლოდინსა და ღელვას დაუფარავად ამხელდა. „აქ გვინდა სწავლა“ - გულდასმით ნასწავლი ქართულით მომმართა პატარამ და მორიდებულად შეხედა მამას, რომელმაც ცრემლჩამდგარი თვალებით გაუღიმა შვილს და თავი დახარა. ერაყელმა მამაკაცმა 2003 წლიდან დაწყებულ და დღემდე დაუსრულებელ საომარ მოქმედებებს ცოლ-შვილი გამოარჩა და ჩვენს მრავალჭირნახულ საქართველოს მოაშურა. უდიდესმა პასუხიმგებლობამ სიტყვის წარმოთქმის საშუალება არ

მომცა; მიუხედავად მდიდარი სასკოლო ტრადიციებისა და მრავალფეროვან ეთნოსთან თანამშრომლობის გამოცდილებისა, შევძლებდით კი ომის ქარ-ცეცხლს გადარჩენილებისთვის სულის იარის დაამებას, მათი არსების განუყოფელ ნაწილად ქცევას, მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენას?! ახალ კულტურას, ტრადიციას, წესს, ჩვევას უნდა შეხვედროდა სასკოლო საზოგადოება და ისე ფაქიზად შეეთავაზებინა საკუთარი, რომ მათი ეროვნული ქსოვილი არ დაეზიანებინა. ეს სერიოზული გამოწვევა სკოლამ მიიღო. ერთად ვხვდებოდით სიძნელეებს, ერთად ვეძებდით გადაჭრის გზებს, ერთად ვმუშაობდით პროექტებზე, ერთად ვხარობდით მიღწეულით. ეფექტური თანამშრომლობით ჩვენი ერაყელი მოსწავლეები დიდი ოჯახის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ეს ჩვენი გოგონას შეფასებაა.

**32-ე სკოლას მიმღები გარემო აქვს, სადაც
მოსწავლეობი მხარს უჭერენ და ამხნევენ
მოსწავლეებს. ზოგადად, სკოლას აქვს
კომფორტული გარემო მოსწავლეებისთვის.**

**მოსწავლეთა უმრავლესობა მეგობრულები არიან.
ჩვენი სკოლა ცდილობს ყველასთვის პოზიტიური და
ინკლუზიური გარემო შექმნას.**

ეს მხოლოდ ერთი მონაკვეთია იმ სკოლის ცხოვრებიდან, რომელიც 12 ეთნოსის წარმომადგენელი სწავლობს. სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, იეზიდის, ერაყელი, სერბი, გერმანელი, ბერძენი, პოლონელი, მალტელი, ოსი, ირანელი მოსწავლეები ქართველ ბავშვებთან ერთად სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვან გარემოს ქმნიან. სხვადასხვა კულტურის შეხვედრა ერთ ლოკალურ სივრცეში მოზარდების ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ ხომ მრავალი ეთნოსისგან შექმნილი ერთი დიდი სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ვართ. სიყვარულისა და პატივისცემის დასტურია ტრადიციად ქცეული მშობლიური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც 21 თებერვალს აღინიშნება. მოსწავლეები მშობლიურ ენაზე წერენ მათთვის საყვარელ ფრაზებს და იქვე გვთავაზობენ ქართულ თარგმანს, რათა ყველამ შევძლოთ ნაკითხვა. (აღნიშნულ აქტივობას არაბულენოვანი გაზეთი სიხარულით გამოეხმაურა). ჩვენ ვზრუნავთ, რომ მოზარდი არ მოწყდეს საკუთარ ფესვებს. ეროვნული თვითმყოფადობის შეგრძნება უმნიშვნელოვანესია. სკოლის დაფაზე განთავსებული გვაქვს თითოეული მოსწავლის ქვეყნის გერბი და დროშა. ჰიმნების მიქსის ფონზე სკოლის ჩოხოსნები პატივს მიაგებენ დროშებს.

სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს აქვს როგორც მოკლევადიანი შედეგი - გახსენება იმ ისტორიული რეალობისა, რომლის შედეგადაც მათი ოჯახები/ წინაპრები ჩამოვიდნენ საქართველოში; თხრობა ტრადიციებისა; წარმოდგენა ეროვნული სამოსისა და ფოლკლორული ნიმუშებისა; შექმნა თანასწორობის ამსახველი პოსტერებისა და ნახატებისა; წერა მშობლიურ ენაზე; ასევე გრძელვადიანი შედეგი - სკოლა გამოუმუშავებს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარს, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. სკოლაში შეძენილი გამოცდილება დაარწმუნებს მოზარდს, რომ თანასწორობა და მრავალფეროვნება მისი სიძლიერეა, რომელიც დაეხმარება გამოწვევების დაძლევაში. რთულია წინასწარ განვსაზღვროთ, რა გამოწვევების წინაშე დავდგებით სწავლების პროცესში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთან. ერთი კი ცხადია, უდიდეს გამოწვევად რჩება იმ მშობლებთან კომუნიკაცია, რომლებმაც არ იციან ქართული ენა.





ინსავე და გააქათა ფონს

ირინა მელქაძე

სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
ქალაქ რუსთვის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

რეზიუმე

“დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე [...] უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში...”

დამიტრი უზნაძე

დემოკრატიული საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომლის თითოეული წევრი კანონის წინაშე თანაბარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ამერიკელი ფილოსოფოსი-სა და განათლების ფილოსოფიის უდიდესი ავტორიტეტის, ჯონ დიუის ნაშრომში „დემოკრატია და განათლება“ თავმოყრილია მეცნიერის მიერ ადრე განხილული აღზრდის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, სრულად არის დასაბუთებული კონცეფცია აღზრდის, როგორც დემოკრატიის მიღწევისა და იდეალური დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების საშუალების შესახებ. ავტორი განიხილავს განათლებას, როგორც „ემპირიულ განათლებას“, როგორც ცხოვრებისეულ აუცილებლობას და ინდივიდის სოციალურ ფუნქციას. ის წარმოაჩენს პროგრესული და კონსერვატიული განათლების პრინციპულ განსხვავებებს.

დემოკრატიის აკვანი კი სწორედ სასკოლო კულტურაში ირწევა, სადაც მეტად ღირებული, აკადემიური წარმატებისაკენ სავალი არაფორმალური განათლების მიმართულება გვეხმარება.

თანამედროვე სასკოლო სივრცეში, მრავალფეროვანი, მრავალეროვნული თუ რელიგიური მიმართულებების არსებობის ფონზე, სასწავლო პროცესი იძენს მეტად მნიშვნელოვან ღირებულებას, აღზარდოს თანამედროვე და თანადროული გამოწვევების კვალდაკვალ ჯანსაღად და კონკურენტულად განვითარებული მომავალი თაობა.

ქვეყნის თუ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ნოვატორული მიდგომების, მოთხოვნებისა და გამოწვევების კვალდაკვალ სკოლა საკუთარი სასკოლო კულტურის მხარდაჭერის, განვითარებისა და გაძლიერებისათვის ხშირად მოუხმობს აკადემიური განათლების ყველაზე ეფექტურ და ეფექტიან ხელშეწყობ, წამახალისებელ კომპონენტს - არაფორმალურ განათლებას.

საკვანძო სიტყვები: „განათლება დემოკრატიისათვის“, „დემოკრატიული სწავლება“ „ადამიანის უფლებები“, „აქტიური მოქალაქეობა“, „დემოკრატიული ჩარჩოს კომპეტენციები“, „სამოქალაქო განათლება“, „უფლებები და პასუხისმგებლობები“, „სასკოლო კულტურა“, „არაფორმალური განათლება“, „მრავალფეროვნება და პლურალიზმი“

ძირითადი ნაწილი


არაფორმალური განათლების ფორმულა ასეთია: „თუ არ მოგწონს, რასაც ვაკეთებთ, ვცადოთ სხვანაირად“. ტერმინი „არაფორმალური განათლება“ გაჩნდა 1960-იან წლებში. არაფორმალური განათლება არის სასიცოცხლო პროცესი, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას. ეს კი მიიღება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ცოდნის დაკავშირებით (1973 წელი, ფილიპ ჰ. კუმბსი, პროსერი, აჰმედი)

დღეს თანამედროვე ქართულმა სკოლამ გააცნობიერა, რომ გარდა აკადემიური (ფორმალური) განათლებისა, მოზარდს ესაჭიროება ადგილი, სადაც თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანებისა და ნიშნებზე ორიენტირების გარეშე შეძლებს აკეთოს საყვარელი, მოსაწონი და სასარგებლო საქმე, გაიფართოოს თვალსაწიერი და რიგ შემთხვევაში სამომავლო პროფესიული ხედვაც კი ჩამოიყალიბოს. ასეთ ადგილებად, როგორც წესი, ჩვენი სკოლის მოსწავლეებს ეგულებათ ის კლუბები, რომლებიც ჩვენს სასკოლო კულტურაში უკვე წლებია ორგანიზებულია შერწყმული და მეტად სასარგებლო საქმიანობას ეწევა. თანამედროვე მოსწავლე აღჭურვილი უნდა იყოს სხვადასხვა უნარით. უნდა შეეძლოს კრიტიკული აზროვნება, შეფასება, ანალიზი, მსჯელობა და ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ უნარების განვითარებისკენაა მიმართული თითოეული კლუბის მუშაობა ჩვენს სასკოლო სივრცეში.

ექვთიმეს სკოლაში, როგორც ამას ჩვენ - მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სრულიად სასკოლო საზოგადოება - ვუწოდებთ, მოქმედებს ერთ-ერთი მეტად აქტიური, ჩართული და გამოხატული სამოქალაქო განათლების კლუბი. სულ რამდენიმე წელია, რაც მას სახელიც შეურჩიეს მოსწავლეებმა და „ეუნოია“ (ბერძნულად ლამაზად ფიქრს ნიშნავს) უწოდეს. კლუბი მოიცავს ისეთი პროექტების ერთობლიობას, რომელიც პირდაპირ გადის ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად მიმართულებებზე. აქ ყველაფერი კეთებით ისწავლება. კლუბის მენტორი მასწავლებელი (სამოქალაქო განათლების) ამირან ჯანჯღავა გვიზიარებს: „ჩვენი ძირითადი საქმიანობა მოიცავს აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის ყველა საჭირო უნარის გამომუშავებას, სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და მაღალი შეგნების ღირებულებათა სისტემის შექმნას. ამ მიზნით, ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა განვახორციელებთ - სახელწოდებით „მოიკელი 1 საათი, გვაჩუქე 1 დღე“, რომლის ფარგლებშიც ჩვენი ქალაქის ფეხით მოსიარულეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხანგძლივ შუქნიშანზე მოვანყეთ დემონსტრაცია პოსტერებით, სლოგანებით, მცენარეებით, ველოსიპედებით, რათა გაგვეზიარებინა გარემოს და ეკოლოგიის დაცვის პასუხისმგებლობა საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქციით ვმონაწილეობდით კონკურსში „ეს ქვეყანა შენია“, რომელშიც რეგიონის მასშტაბით გამარჯვებაც მოვიპოვეთ და ჩვენი ხმაც მეტად დიდ აუდიტორიას მივანვდინეთ.“

ჩვენი სასკოლო კულტურა მოიცავს სკოლაში არსებული არაფორმალური განათლების მიმართულებით მომუშავე ყველა რგოლის ურთიერთთანამშრომლობას საერთო სარგებლისათვის. ეს კი მეტად კარგადაა გამოხატული კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სკოლის საელჩოს ერთობლივი პროექტებითა და აქტივობებით. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მე-11 კლასის მოსწავლე თაკო ტუხაშვილი: „ჩვენი სკოლა ძალიან აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში. მათ შორის სულ ბოლო პროექტზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც იყო საერთაშორისო გლობალური გაკვეთილი-ლონისძიება, მიმდინარეობდა 24 საათის განმავლობაში და ყველა ჩართული ქვეყანა წარადგენდა საკუთარ გარემოს, კულტურას. ჩვენ შეარჩიეთ ეროვნული ტრადიციული ცეკვა, რომელსაც ჩვენი მოსწავლეები საცეკვაო სტუდიაში შეისწავლიან. ამან ერთგვარი კოლაბორაცია მოახდინა ჩვენში ჩვენი ცოდნის ტრანსფერის სახით და გაგვეერთიანა საერთო მიზნის ქვეშ“.



არაფორმალური განათლების ხელშეწყობი სასკოლო კულტურის განვითარების როლი მეტად კარგად იკვეთება ჩვენი დებატების კლუბის მუშაობაში. მისი მენტორი, ისტორიის მასწავლებელი ზურა სანაძე ამას შემდეგნაირად ხედავს: „ერთია მოსწავლემ იცოდეს და ესმოდეს გარკვეული ისტორიული, კულტურული თუ პოლიტიკური საკითხი, ხოლო მეორე და გაცილებით მნიშვნელოვანია, როგორ იაზრებს მას, როგორ გადმოცემს ის ამას, როგორც ვერბალური მეტყველი და როგორ შეუძლია რეალურ გარემოში საკითხის გადმოტანა, მის გარშემო მსჯელობა და, ასევე, თვითპრეზენტაცია. ბუნებრივია, დისკუსიების, დებატების მომზადებისა და განხორციელების პროცესში გამო-მუშავდება თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარიც, რაც ასე ფასეულია დღევანდელ კომპლექსურ და იმავდროულად, კოლაბორაციულ გარემოში. არასაკლასო დებატები მოსწავლე-მასწავლებლებს ხელს გვიწყობს, რომ მოსწავლეებმა, არაფორმალური სტრატეგიით, მოახერხონ და უკეთ გაიაზრონ რეალური, ცხოვრებისეული საკითხები, იმსჯელონ და დასკვნები თავად გამოიტანონ, თვითრეფლექსიის უნარი გამოიმუშაონ და მოემზადონ სამომავლოდ, რეალურ ცხოვრებაში წინააღმდეგობებთან გასამკლავებლად, დიალოგებისთვის, კომპრომისებისა და სწორი სტრატეგიების ასარჩევად. იყვნენ, სულ მცირე, საბაზისო უნარებით აღჭურვილნი და ჰქონდეთ მზაობა, მიღებული მრავალფეროვანი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში, რეალობაში ადეკვატურად და ხელსაყრელად გადმო-სატანად. დებატები წარმოადგენს თანამედროვე (არა-ფორმალურ) სასკოლო განათლებაში პროგრესულ, საჭირო და ეფექტურ მეთოდს, ცოდნის არაფორმალურ განმამტკიცებელსა და საშუალებას, რომელიც გვეხმარება 21-ე საუკუნეში, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უნარების შეძენასა და რეალობაში გადმოტანაში“.

ყოველივეს მხარდასაჭერად სკოლა მუდმივად თანამშრომლობს საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, რომელთა აქტიური ხელშეწყობით, არაფორმალური განათლების საშუალებით, ხდება მოსწავლეთა მუდმივი განვითარება. სწორედ ასეთი საინტერესო, აქტიუ-ლური და თანადროული იყო სკოლის მენარმეობის კლუბის მოსწავლეთა ბიზნესფორუმში მონაწილეობა და საკუთარი იდეის წარდგენა არსებული ბიზნესსექტორისათვის. აღნიშნულს ხელმძღვანელობდა სკოლის

სამოქალაქო განათლებისა და ჩვენი საქართველოს მასწავლებელი მარიამ ჯალაბაძე, რომელიც აღნიშნავს: „ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად გავიარეთ შესარჩევი ეტაპი და ქვემო ქართლის რეგიონში 34 სკოლიდან მოვხვდით 9 სკოლას შორის ჩვენი ბიზნესიდეით. ჩვენმა მოსწავლეებმა წარადგინეს პროექტი - „საზოგადოებრივი მეცნიერებების ლაბორატორია“. მათ დეტალურად ისაუბრეს ყველა იმ საჭიროებაზე, რომლის მოგვარებაც შესაძლებელი იყო პროექტის მხარდაჭერით და ასევე ყველა იმ სარგებელზე, რასაც უკვე განხორციელებული პროექტი მოიტანდა მთლიანად სასკოლო საზოგადოებისთვის“.

ეს და კიდევ მრავალი მსგავსი არაფორმალური აქტი-ვობა ხელს უწყობს ჩვენს სკოლაში ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, მოსწავლეთა აღზრდას ფასეული ღირებულებებით, მათ ჩართვას სამოქალაქო აქტივობებში, ეხმარება საკუთარი ადგილისა და როლის განსაზღვრაში, გლობალური მოქალაქეობისა და დემოკრატიული, უმაღლესი პრინციპების დანერგვაში.

დასკვნა

არაფორმალური განათლება მოსწავლეს აძლევს შესაძ-ლებლობას, გაეცნოს მისთვის საინტერესო თემებს, იკ-ვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი და მეგობრებთან ერთად, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგ-მოს, განახორციელოს ბევრი საინტერესო აქტივობა, შეიმუშაოს იდეები. ამგვარი სწავლებისას მოსწავლე თავისუფალია, სასწავლო პროცესი კი მასზეა მორგე-ბული, მასზეა ორიენტირებული, რაც მოსწავლეების დაინტერესებას იწვევს; ინტერესი კი ზრდის მოტი-ვაციას, ქმნის საერთო სასკოლო კულტურას და აერ-თიანებს სრულიად სასკოლო საზოგადოებას ერთიანი პროგრესული, თანადროული განათლებისათვის.

ეს ყოველივე ხელს უწყობს საერთო სასკოლო კულტუ-რის ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესს, რადგან ის არის რწმენა, აღქმა, ურთიერთობები, დამოკიდებულე-ბები, დანერგილი და დაუნერგელი წესები, რომლებიც ძერ-ნავს და გავლენას ახდენს სკოლის გამართულად ფუნ-ქციონირებისთვის საჭირო ყველა ასპექტზე. სწორედ ამიტომ, საზოგადოების ყველა რგოლის წარმატებისათ-ვის გვესაჭიროება პოზიტიური სასკოლო კულტურა.



გიორგი ლანტურიძე

სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

განათლების სფეროში საინიციატივო სწავლისა და კარიერული კონსულტაციის ხელშეწყობა

აქტიური გაერთიანებული შტატების სახელმწიფო დაქარბანები ახორციელებს საერთაშორისო ვიზიტორების დიქტორების პროგრამას (IVLP)

2024 წლის 6-27 აპრილს საერთაშორისო ვიზიტორების ლიდერობის პროგრამით (IVLP) ვიმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა, გავცნობოდით საშუალო საფეხურის სკოლების ამერიკულ გამოცდილებას.

მოკლედ მოგახსენებთ იმ პრაქტიკული გამოცდილების შესახებ, რომელიც გავგიზიარეს მასპინძლებმა: ეროვნული ინიციატივები კარიერული წინსვლის მხარდასაჭერად; კარიერული კონსულტაციის მიდგომები; სერვისის გამოცდილებით სწავლება საშუალო საფეხურზე; რესურსცენტრის მიდგომები დასაქმების ხელშეწყობა; სათემო პარტნიორობის განვითარება (სამუშაო ძალისა და მოთხოვნის თანაფარდობის გათვალისწინებით); შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობა; სკოლის კონსულტანტის ინსტიტუტი; ბიზნესისა და სკოლის თანამშრომლობა; რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების მხარდაჭერა სოციალურ-ემოციური სწავლების, დასაქმებისა და კარიერულ წინსვლის პროცესში.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე - არაფორმალური განათლების წილზე სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაში. ამერიკაში მუშაობს პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე მიმართული და რომლებიც ხორციელდება არაფორმალური განათლების გზით. აღნიშნული უნარები ისეთივე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, როგორც აკადემიური უნარების განვითარება და კონკრეტული ცოდნის დაგროვება. აღსანიშნავია, რომ თუ

მოსწავლე სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს ფლობს, მას აქვს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვისა და რეალიზების მოთხოვნილება. ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც მუშაობს აშშ-ში (Open Roads) ითვალისწინებს მოსწავლეთა პოზიტიური ქცევით ინტერვენციას და მათ მხარდაჭერას. ეს არის მოსწავლეებისთვის სათანადო ქცევის სწავლების მოდელი და ფოკუსირებულია შემდეგ პრინციპებზე:

- პატივისცემა - გამოიჩინეთ ემპათია.
- დაეუფლეთ თქვენს ქმედებებს - თუ რაიმე დიდებულს აკეთებთ ან შეცდომას უშვებთ, დაეუფლეთ მას!
- დამოკიდებულების მნიშვნელობა - იყავით პოზიტიური მუშაობისას.
- დისციპლინა - დაასრულეთ ის, რაც დაიწყეთ.
- უსაფრთხოება - ყოველთვის გახსოვდეთ და იცავდეთ!

მონაწილე მოსწავლეები პროგრამას იწყებენ ველოსიპედით, რომელსაც გარკვეული შეკეთება სჭირდება. მოსწავლეები ყოველ კვირას სწავლობენ ერთ ახალ სოციალურ უნარს. თითოეული უნარი დაკავშირებულია ველოსიპედის შეკეთებასთან, რომელზეც ისინი მუშაობენ იმ კვირაში. ამ უნართა შორის არის: საკუთარი თავის წარდგენა, საკუთარი თავის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, თვითკონტროლი და ბოდიშის მოხდა. მთელი პროცესი არაფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც მოსწავლეს კიდევ უფრო პროცესში ჩა-რებს,



თულს ხდის და, იმავდროულად, მისთვის სასიამოვნო საქმიანობას - ველოსიპედის აწყობას ითვალისწინებს. მოსწავლეთა თავისუფლების ხარისხზე მიბმულია პასუხისმგებლობა და ეს ორი რამ ერთმანეთის პარალელურად იზრდება. პროგრამის მონაწილეთა ავტონომია არ იზღუდება, ხდება ამ ავტონომიისთვის მიმართულების მიცემა, რაც ეხმარება მოსწავლეს სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაში.

დამეთანხმებით, ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელი, მისი როლი. სამოდელო ქცევა/დამოკიდებულება - ერთ-ერთი ეფექტური გზაა მოსწავლეებში ახალი უნარების გააზრებული დაუფლებისთვის. მასწავლებელი, სოციალური და ემოციური უნარების მოდელირებით, მოსწავლეებს აწვდის მკაფიო და ხელშესახებ მაგალითებს, როგორ შეიძლება ვლინდებოდეს სოციალურ-ემოციური კომპეტენციები ყოველდღიურ ცხოვრებაში. მასწავლებლის მიერ სოციალური და ემოციური უნარების მოდელირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ნაკლებად ჰყავთ გარშემომყოფთა შორის პოზიტიური როლური მოდელი.

მასწავლებლებისთვის ალბათ მნიშვნელოვანია ბევრი კონკრეტული მაგალითის ჩვენება, რა დებულებები დაეხმარებათ მოსწავლეებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაში. ვეცდებით, აშშ-ში არსებული პრაქტიკის მაგალითზე რამდენიმე მათგანი გაჩვენოთ და კონკრეტული ინსტრუქცია მოგცეთ:

- მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მოსწავლეებს მისცეთ საშუალება უკუკავშირი მოგცეთ თქვენ;
- ეცადეთ, გარკვეული პერიოდულობით აღიაროთ შეცდომები და ახსნათ მათი გამოსწორების გზები;
- ეცადეთ, თქვენი და მოსწავლეთა ემოციები დაუკავშიროთ ერთმანეთს (მოინწყინეთ და გაიხარეთ მათთან ერთად), შეგიძლიათ სიტყვიერადაც აღწეროთ;

- ხმამაღლა უთხარით და აჩვენეთ თვითრეგულირებადი ქცევის კონკრეტული ბუნებრივი მაგალითები;
- აუცილებელია, მოსწავლეს დარჩეს სივრცე გადანყვებილების მისაღებად;
- ნაახალისეთ მოსწავლეთა გუნდური მუშაობაც და განსხვავებული აზრიც;
- კარგი იქნება თუ არ ისაუბრებთ „ჭეშმარიტებაზე“, რომელიც „არ გადაიხდება!“;
- მოსწავლეებს გააკეთებინეთ დღის, კვირის, თვის ემოციების აღრიცხვა და შემდეგ განიხილეთ ინდივიდუალურად;
- თქვენი მხრიდან გაცემული უკუკავშირი მოსწავლის სოციალური და ემოციური უნარების დეფიციტს კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ მათი შეძენის გზებს უნდა სთავაზობდეს;
- დააფიქრეთ ბავშვები საკუთარ ემოციებზე და დაარქვან მათ სახელები;
- ეცადეთ აუხსნათ, რას გრძნობთ მოსწავლის სხვადასხვა ტიპის ქცევისას;
- მოსწავლეებს მოაყოლეთ მაგალითები, როცა ისინი სხვებს დაეხმარნენ პრობლემის მოგვარებაში, ცუდი განწყობიდან გამოსვლაში (პერსონალური მონაცემების დაცვით ცხადია);
- გაუჩინეთ მიკუთვნებულობის განცდა;
- ასწავლეთ, იპოვონ ბედნიერება!

არაფორმალური სწავლების პროცესის ამგვარად წარმართვა, არა მარტო მოსწავლეს, არამედ მასწავლებელსაც ეხმარება, რომ მისი ყოველდღიური საქმიანობა სასიამოვნო და მეტად პროდუქტიული გახდეს.





ქართულის დაგეგმვის, ქართული კონსულტაციის სერვისები საქართველოში: ანსაზღვრული პოტენციალი, გამოწვევები, შესაძლებლობები ახალგაზრდობისთვის

შალვა ჯუკაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების და
ახალგაზრდობის სამინისტროს კარიერული დაგეგმვის
სპეციალისტი

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიური წინსვლი-
სა და სწრაფად განვითარებადი ცვალებადი სამუშაო
ბაზრის ეპოქაში, ახალგაზრდა ადამიანისთვის კარიე-
რული გზების დასახვა, დაგეგმვა და მართვა მრავალ-
ფეროვანი შესაძლებლობების ლაბირინთად იქცა.

ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებას თან ახ-
ლავს სამუშაოს შინაარსისა და სამუშაო ძალაში მუდმივი
ცვლილებები, რაც სწორ პროფესიულ არჩევანს და კა-
რიერის სწორად დაგეგმვას კრიტიკულ მნიშვნელობას
ანიჭებს. იუნესკოს¹ განმარტებით (UNESCO, 2000), **კა-
რიერული ორიენტაცია არის პროცესი, რომელიც
ინდივიდს, მისი ღირებულებებისა და სურვილების
გათვალისწინებით, საკუთარი უნარების, შესაძლებ-
ლობების და ინტერესების აღმოჩენაში, გააზრებასა
და სათანადოდ გამოყენებაში ეხმარება.**

კარიერული კონსულტაცია იდეალური პროფესიუ-
ლი გადაწყვეტილების მიღების გარანტიას არ იძლევა,
თუმცა, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, ადა-
მიანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლით
და გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ახალგაზ-
რდას მისთვის საუკეთესო პროფესიულ არჩევანს სთა-
ვზობს, რაც, ერთი მხრივ, ადამიანის რეალიზებას უწყ-
ობს ხელს, მეორე მხრივ კი, მის ეფექტიან მუშაობას
განაპირობებს. ეს ყოველივე ორგანიზაციის პროდუქ-
ტულობაზე აისახება, წარმატებული ორგანიზაციები კი
სახელმწიფოს წარმატების წინაპირობაა. სწორედ ამი-
ტომ, კარიერული კონსულტაციის ინსტიტუციონალუ-
რი ფორმების განვითარების საკითხი მთელ მსოფლიო-
ში უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

**“კარიერული კონსულტაცია ინდივიდის პიროვნე-
ბის, ინტერესების, უნარების, საგანმანათლებლო
შესაძლებლობების, შრომითი ბაზრის, დასაქმების
პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის შეგროვება
და ორგანიზებაა.”**

როგორი სიტუაციაა კარიერის დაგეგმვის მიმართულე-
ბით ჩვენს ქვეყანაში? როგორ ირჩევენ და რა ბარიე-
რებს აწყდებიან პროფესიის არჩევისას, რამდენად
აქვთ გაცნობიერებული კარიერის დაგეგმვის მნიშვნე-
ლობა; რა სერვისები და შესაძლებლობები არსებობს
კარიერული კონსულტაციების მხარდასაჭერად, განვი-
თარების რა პერსპექტივებია ამ მიმართულებით ჩვენს
ქვეყანაში; როგორია სხვა ქვეყნების გამოცდილება და
სხვა საკითხები თემის ირგვლივ, შესაძლოა საინტერე-
სო იყოს მკითხველისთვის. სტატიაში მიმოვიხილავთ
ზემოაღნიშნულ საკითხებს - პროფესიული ორიენტა-
ციის, კარიერის დაგეგმვის შესახებ არსებულ ძირითად
გამოწვევებს და შესაძლებლობებს ახალგაზრდობის-
თვის.

ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში მნიშ-
ვნელოვანი ყურადღება ეთმობა კარიერის დაგეგმი-
სა და პროფესიული ორიენტაციის შესაძლებლობების
განვითარებას. ამის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად
რჩება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და
აბიტურიენტებისათვის სწორი პროფესიული არჩევა-
ნის, გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების
მიღება. აღნიშნულის მიზეზი, ერთი მხრივ, შესაძლებ-
ლობების ნაკლებობა, არასრულყოფილი სერვისები და
მათი ხარისხია, მეორე მხრივ, ახალგაზრდობის ინფორ-
მირებულობის ნაკლებობა და პროფორიენტაციის მნიშ-
ვნელობისა და საჭიროების შესახებ გაუთვითცნობიე-
რებულობა.

საქართველოს მასშტაბით განხორციელდა კვლევა², „კა-
რიერული კონსულტაციის სერვისების ხელმისაწვდო-
მობა: არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემები,
გამოწვევები, მოლოდინები და განვითარების პერსპექტი-
ვები“, რომლის მიხედვით, მთავარი ბარიერები ახალ-
გაზრდობისთვის პროფესიის არჩევის დროს ინფორ-
მირებულობის ნაკლებობა, საკუთარ ინტერესებსა და
შესაძლებლობებში გაურკვევლობა, სწავლების სიძვი-
რე და მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობაა.

¹ იუნესკო - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია (The United Nations Educational, Scientific and Cultural
Organization (UNESCO))

² კვლევა: კარიერული კონსულტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა:
არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემები, გამოწვევები, მოლოდინები და განვი-
თარების პერსპექტივები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამი-
ნისტროს დაკვეთით, განხორციელებულია ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცე-
ნტრის (PMC) მიერ. (2016)

ბარიერები პროფესიის არჩევისას	რესპოდენტთა რაოდენობა (%)
პროფესიის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა	77%
უმაღლეს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა	71%
სახელობო პროფესიებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა	63%
შრომითი ბაზრის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა	63%
სასურვეკ სასწავლებელში სწავლის სიძვირე	61%
ჩემთვის საინტერესო პროფესიის დასაუფლებლად საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობა	56%
საკუთარ ინტერესებში და შესაძლებლობებში გაურკვევლობა (საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა)	54%
ბევრი განსხვავებული ინტერესის გამო გადაწყვეტილებების მიღების სირთულე	52%
პროფესიონალი კონსულტანტის მხარდაჭერის ნაკლებობა	40%
სკოლის მხრიდან მხარდამჭერის ნაკლებობა	32%
სასურველ პროფესიასთან დაკავშირებული სტერეოტიპები (მაგ: ქალისთვის შეუფერებელი პროფესია)	29%
მშობლების და ახლობლების წინააღმდეგობა	28%

ჩვენს ქვეყანაში კარიერული კონსულტირების სერვისები სისტემური გამოწვევის წინაშეა. არსებული შესაძლებლობები და ინტერვენციები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ფორმალურ და არაფორმალურ სივრცეში ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობები ძალიან მწირია და არცთუ მაღალი სანდოობით და ხარისხით გამოირჩევა.

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და მეთოდოლოგიური ლიტერატურის სიმწირე განაპირობებს მაღალი პროფესიული სტანდარტის ტრენინგ-პროგრამებსა და, ზოგადად, კვალიფიციურ სერვისებზე დაბალ ხელმისაწვდომობას. ეს გამოწვევები განსაკუთრებული სიმძაფრით რეგიონებში იგრძნობა, სადაც კარიერული კონსულტაციის სფეროში კვალიფიციური კადრები ფაქტობრივად არ არსებობს, შესაბამისად, არ არსებობს ხელმისაწვდომი კვალიფიციური კარიერული და პროფესიული კონსულტირების მომსახურების სერვისები ახალგაზრდებისთვის.

კარიერის მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების საფეხურზე, თუმცა, ჯერჯერობით სკოლაში და სასკოლო სივრცის მიღმა კარიერული სერვისები მწირია და, შესაბამისად, ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია.

პრობლემას წარმოადგენს კარიერის მართვის კვალიფიციური მენეჯერების არარსებობა. ამის მიზეზია ის, რომ არ ხდება კარიერის მართვის მენეჯერების მომზადება, უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; არ არსებობს პროფესიული და ეთიკის სტანდარტები, არ ხდება არსებული სერვისების მონიტორინგი და შეფასება.

შესაძლებლობები არაფორმალურ განათლებაში

კარიერის დაგეგმვისა და მართვის კუთხით ახალგაზრდების ხელშეწყობა გათვალისწინებულია „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციასა“ და „სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრატეგიაში 2023-2026“ და მის განხორციელებას კოორდინაციას უწევს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო. ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ კარიერული კონსულტაციის მიმართულების მხარდაჭერა არაფორმალური განათლების საშუალებით, ითვალისწინებს, ერთი მხრივ, არსებული რესურსების განვითარებასა და განახლებას, მეორე მხრივ, ახალი რესურსების შექმნას და, ამავე დროს, ახალგაზრდების კარიერის შესახებ კონსულტირების, ინფორმირებულობისა და ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობას.

ვებგვერდი - myprofession.gov.ge

ახალგაზრდობის სააგენტო ახალგაზრდებს კარიერული ორიენტაციის მიმართულებით საკონსულტაციო ონლაინპლატფორმას myprofession.gov.ge სთავაზობს. ვებგვერდი 2013 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, აბიტურიენტების, სტუდენტებისათვის, პროფესიის არჩევისა და კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობის მიზნით³. ვებ-

3 სამინისტროს ახალგაზრდობის მიმართულებით პასუხისმგებელი სამსახურები დღეისათვის სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს წარმოადგენს.

გვერდის შინაარსობრივ და ტექნიკურ მომზადებასა და განვითარებაში ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, ფსიქოლოგები, განათლების ექსპერტები. დღემდე **myprofession.gov.ge** ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია, რომელსაც მომხმარებელთა ფართო სპექტრი ჰყავს: მას იყენებენ კარიერის დაგეგმვის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდები და კარიერის კონსულტანტები პრაქტიკის და/ან ტრენინგების პროცესში, ასევე, ფსიქოლოგები, პედაგოგები, დასაქმების კონსულტანტები. **myprofession.gov.ge** თვითდახმარებადი ონლაინსერვისია და მისი ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდებს გააზრებული გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევის, კარიერის დაგეგმვის დროს. დღეისათვის ვებგვერდი ფუნქციონირებს, თუმცა ის განახლებას საჭიროებს როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსობრივად (ყველა დირექტორი მოქმედია, განთავსებული ინფორმაცია ვალიდურია და შესაძლებელია მისი გამოყენება).

myprofession.gov.ge-ზე დარგის ექსპერტების მიერ განთავსებულია სამეცნიერო მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი და ადაპტირებული ფსიქოლოგიური კითხვარები კარიერული კონსულტაციებისთვის, როგორიცაა პოლანდის თვითსაკვლევი, გადაწყვეტილების მიღების კითხვარი და პიროვნების საკვლევი კითხვარი. ეს უკანასკნელი დარგის ექსპერტების მიერ სპეციალურად **myprofession.gov.ge**-ზე განთავსებულად შეიქმნა ჩვენი ახალგაზრდებისთვის. თვითადმინისტრირებადი სტანდარტიზებული ფსიქოლოგიური ტესტების, კითხვარების საშუალებით შესაძლებელია ახალგაზრდებმა გამოიკვლიონ საკუთარი უნარები, ინტერესები, პიროვნული მახასიათებლები, პიროვნული ტიპოლოგია, ძლიერი და სუსტი მხარეები, მათთვის მეტად შესატყვისი სამუშაო გარემო და დაუკავშირონ შესაბამის პროფესიულ სფეროებს (<http://myprofession.gov.ge/person-research-test>).

ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიების შესახებ ინტერვიუს ფორმატის ვიდეორგოლები (4-5 წთ. ქრონომეტრაჟი), სადაც სხვადასხვა პროფესიის წარმატებული წარმომადგენლები საუბრობენ, როგორ აირჩიეს პროფესია, რას მოიცავს ესა თუ ის პროფესია, რა უნარები, პიროვნული მახასიათებლები და განათლებაა საჭირო კონკრეტული პროფესიის დასაუფლებლად; პროფესიონალები საუბრობენ პროფესიის დადებით და უარყოფით მხარეებზე, სირთულეებსა და გამოწვევებზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, განვითარების პერსპექტივებსა და რჩევებზე ახალგაზრდებისთვის (<http://myprofession.gov.ge/videos>).

გარდა ამისა, ვებგვერდზე იხილავთ მრავალფეროვან სარეკომენდაციო/საკითხავ მასალას, სტატიებს, შემთხვევათა ანალიზს, სავარჯიშოებს.

სახელმძღვანელო „აირჩიე პროფესია“

Myprofession.gov.ge-ზე განთავსებულია პროფესიული ორიენტაციის სფეროში პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო/გზამკვლევის „აირჩიე პროფესია“⁴ ელექტრონული ვერსია. სახელმძღვანელო განკუთვნილია დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის; იმ ახალგაზრდებისთვის, ვისაც ჯერ არ აურჩევია პროფესია ან მისი შეც-

ვლა სურს. მისი მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდებს თვითგამორკვევაში, გააცნოს მათ პროფესიისა და კარიერის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების თავისებურებები და განუვითაროს კარიერული გადაწყვეტილებების მიღებისთვის მნიშვნელოვანი უნარები. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ხარისხიანი კარიერული სერვისების ხელმისაწვდომობა კვლავ ძალიან დაბალია, სახელმძღვანელო/გზამკვლევი მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ახალგაზრდებისთვის პროფესიის არჩევასა და/ან შეცვლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის სირთულეების დაძლევის გზაზე.

(<http://myprofession.gov.ge/videos#manual>).

ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ კარიერის დაგეგმვისა და მართვის თემაზე პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ღონისძევა - საინფორმაციო შეხვედრები, ინტერაქტიული ლექციები, რომელთა მიზანია პროფესიის არჩევის, კარიერის დაგეგმვისა და მართვის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება, აღნიშნული მიმართულებით საბაზისო უნარების ათვისება/გაუმჯობესება; ასევე, კარიერის დაგეგმვის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება და მოტივირება.

ახალგაზრდული მუშაობა

არასრულყოფილი სერვისების და არათანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლები შესაძლებლობის მქონე, ე.წ. **neet5** კატეგორიის ახალგაზრდებისათვის ხელშემწყობი შესაძლებლობების შეთავაზება. ამ მიზნით ევროკავშირის **Skills4Jobs** პროექტის მხარდაჭერით, საგრანტო პროექტის „უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში ახალგაზრდობის სააგენტომ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნა მობილური ახალგაზრდული მუშაკების სერტიფიცირების პროგრამა და გადაამზადა 20 ახალგაზრდული მუშაკი. მობილური ახალგაზრდული მუშაკები ის ადამიანები არიან, რომლებიც ველზე მუშაობენ ახალგაზრდებთან და თავიანთ ძირითად ფუნქციასთან ერთად, შეუძლიათ ახალგაზრდების მხარდაჭერა კარიერის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში. ახალგაზრდობის სააგენტო გეგმავს ახალგაზრდა მუშაკების რესურსების გაძლიერებას, მათ შორის, მათთვის კარიერის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში კომპეტენციების ათვისებას/ განვითარებას, რათა ახალგაზრდულმა მუშაკებმა შეძლონ ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება, მხარდაჭერა, შესაბამისი საჭიროებების მიხედვით ახალგაზრდების რეფერირება ფორმალურ თუ არაფორმალური განათლების მიმწოდებლებთან, დასაქმების სააგენტოსთან თუ სხვა შესაბამის სტრუქტურებთან. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდული მუშაკები არ შეითავსებენ კარიერული კონსულტანტის ფუნქციებს, რომლებსაც სრულყოფილი, სიღრმისეული კონსულტირების შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა აქვთ.

ახალგაზრდული მუშაკები ფასდაუდებელი რესურსია კარიერის დაგეგმვის მნიშვნელოვანი სერვისების პირობებში: მათ შეუძლიათ ახალგაზრდების ინფორმირება, რესურსების გაცნობა, ახალგაზრდებში ნდობის მოპოვება, ხელმძღვანელობისა და მენტორობის უზრუნველყოფა; მუშაკები არიან ახალგაზრდების მხარდაჭერები, მეგზურები, კარიერის დაგეგმვის პროცესში წამხალი-

4 „აირჩიე პროფესია“ სახელმძღვანელო 2014 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და სამხრეთ კავკასიაში World Vision-ის რეგიონული წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა „ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი – PMC-ის“ მიერ.

5 Neet - ახალგაზრდა, რომელიც არ არის დასაქმებული, არ არის ჩართული ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, არ მონაწილეობს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობაში

სებლები; მათ შეუძლიათ კარიერასთან დაკავშირებული საჭიროებების ადვოკატირება და გაძლიერება; რეფერირება საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული რეფერალური სქემების მიხედვით. ამ უკანასკნელის შემუშავებასა და დამკვიდრებაზე მუშაობას ახალგაზრდობის სააგენტო მიმდინარე წელს გეგმავს დაინტერესებულ და მონაწილე მხარეებთან ერთად.

ყველა ამ პასუხისმგებლობის შესრულებით ახალგაზრდულ მუშაკებს შეუძლიათ დაეხმარონ ახალგაზრდებს ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებასა და კარიერული მიზნების მიღწევაში.

არაფორმალურ განათლებაში კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის პროექტის Skills4Jobs წვლილი. პროექტი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, იმ საჯარო სტრუქტურების დახმარებას, რომლებიც მუშაობენ კარიერული კონსულტირების მიმართულებით, მეორე მხრივ, აძლიერებს არასამთავრობო სექტორს საგრანტო პროექტების ფარგლებში კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერით.



საერთაშორისო გამოცდილება

საზღვარგარეთ, განვითარებულ ქვეყნებში ახალგაზრდებს კარიერის დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობენ, რომლებიც შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკურ სივრცეში, ასევე ონლაინ ან სატელეფონო მომსახურების სახით. სერვისები ფორმალურ განათლებაში სკოლამდელი განათლებიდან იწყება და გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით.

დიდ ბრიტანეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების ყველა საფეხურზე კარიერის დაგეგმვისა და მართვის მხარდაჭერას ახალგაზრდებისთვის. გეტსბის საქველმოქმედო ფონდმა, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით, განსაზღვრა რვა კრიტერიუმი (Gatsby Benchmarks), რომელმაც რეზონანსი მოახდინა სკოლებში, კოლეჯებსა და დამსაქმებლებში. შეიქმნა შესაბამისი სერვისები ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით. 2021 წელს გეტსბის კრიტერიუმები გადაიხედა. მთავრობის ინიციატივით დაიწყო სკოლებსა და კოლეჯებში სერვისების განახლება, რათა დაეკმაყოფილებინათ აღნიშნული სტანდარტები.

ყველა საშუალო სკოლას მოეთხოვება ჰყავდეს კარიერის მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კარიერული განათლებისა და კონსულტირების სერვისის მიწოდებას. განათლების დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს სახელმძღვანელო ინსტრუქციების, სტანდარტების, ნორმატიული კრიტერიუმების შემუშავებას კარიერის დაგეგმვისა და მართვის სერვისების მიწოდებისთვის. კარიერული კონსულტანტის კვალიფიკაცია აღიარებულია და არსებობს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

გერმანიაში კარიერული მომსახურების სერვისების მსგავსი ინსტიტუციები 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, დროთა განმავლობაში დაიხვეწა, გარდაიქმნა და დღეს კარიერის მართვის მოდელი უზრუნველყოფს უწყვეტი კარიერული კონსულტირების სერვისებს. მოქალაქეს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე აქვს საშუალება ისარგებლოს კარიერის მართვის სერვისებით. ამ მომსახურების განევაზე პასუხისმგებლობა ნაწილდება ფედერალურ მთავრობას, ფედერალურ შტატებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. კარიერის მართვის სერვისების დანერგვაში მთავარი წვლილი დასაქმების ფედერალურ სააგენტოს შეაქვს, რომელიც დასაქმების 150-ზე მეტ სააგენტოსა და კარიერული ინფორმაციის ცენტრს აერთიანებს. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, კარიერის მართვის სერვისების დანერგვის პროცესში დიდი წვლილი შეაქვთ ზრდასრულთა განათლების ცენტრებს, სოციალური მომსახურებისა და ახალგაზრდობის კეთილდღეობის სააგენტოებს. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციებისა და ექსპერტების დამოუკიდებელი ქსელი - „გერმანიის კარიერული სერვისების ქსელი“ (Career Service Network Deutschland e.V.), რომელიც უზრუნველყოფს კარიერის მართვის სერვისების მიწოდებას. არსებობს კარიერული განათლების სერვისები (Educational guidance) და პროფესიული სერვისები (Vocational guidance). პირველი მოიცავს ფორმალური განათლების ფარგლებში გაწეულ ისეთ სერვისებს, როგორებიცაა კარიერის მართვა და კონსულტაცია სკოლაში; მხარდაჭერა განათლების მიღების პროცესში; პროფესიული და კარიერული მხარდაჭერა დასაქმების ფედერალური სააგენტოს (FEA) მიერ; უმაღლესი განათლების (HE)

ფარგლებში არსებული საკონსულტაციო სერვისები. მეორე, პროფესიული სერვისები მოიცავს მომსახურებას, რომლის მიღებაც შესაძლებელია დასაქმების სააგენტოებში (Employment Agencies- EA) ან შრომით ცენტრებში, ზრდასრულთა საგანმანათლებლო ცენტრებში, კომერციულ ან ინდუსტრიულ ცენტრებში და ა.შ.⁶

პოლონეთში პირველადი კარიერული სერვისები 1993 წელს ამოქმედდა და მას შემდეგ დაახლოებით 450-მდე კარიერული მომსახურების ცენტრი შეიქმნა პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ბოლო წლებში აღნიშნული კარიერული ცენტრები გაერთიანდა „კარიერული სერვისის ეროვნულ ქსელში“ (OSBK); ის მოიცავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, სტაჟირებას, ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისა და სამუშაოს მაძიებლებისთვის და ა.შ.. 2009 წელს ამ ქსელის ფარგლებში ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შეიქმნა ვაკანსიების ვებპორტალი (www.biurokarier.edu.pl/), რომელიც აკავშირებს სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. პორტალი გამოიყენება ასევე სხვადასხვა პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლისათვის, რომელიც ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევებს.

ჩეხეთში

როგორი სერვისებიც არ უნდა შევთავაზოთ ახალგაზრდებს, ისინი მაინც ფრაგმენტული და არასრულყოფილი იქნება, თუ არ მოხდა ამ სერვისების სინქრონიზება და ერთმანეთთან დაკავშირება და, ამავდროულად, სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია კარიერის დაგეგმვის სერვისების მნიშვნელობის გაცნობიერება, ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ინფორმირებულობის ხელშეწყობა ახალგაზრდებისთვის, მშობლებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, კერძო სექტორისა და დამსაქმებლებისთვის. განსაკუთრებით საჭიროა გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის სერვისების მნიშვნელობის ღრმად გააზრება და მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანია:

- კვალიფიციური კადრების მომზადების აკადემიური, საუნივერსიტეტო პროგრამების დანერგვა, პარალელურად კი, მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსების უზრუნველყოფა;
- მრავალფეროვანი სასწავლო, სარეკომენდაციო და დამხმარე რესურსების, სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, მეთოდური მასალებისა და ინსტრუმენტების შექმნა/შემუშავება.
- ყველა დაინტერესებული მხარის კოორდინაციის მიზნით, თანამშრომლობის პლატფორმის (ნებისმიერი სახის) შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სინქრონულად განვითარებადი სერვისების დანერგვას.

თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კარიერის დაგეგმვის სერვის(ებ)ის განვითარება სკოლებში; სკოლების მრავალფეროვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა, ფსიქოლოგების, პედაგოგების გადამზადება იმ ეტაპამდე მაინც, სანამ კვალიფიციური კარიერული კონსულტანტების გარკვეული რაოდენობა გვეყოლება. სკოლაში კვალიფიციური კადრების სიმწირის ფონზე, კარიერული სერვისების დაგეგმვისას, უმჯობესია აქცენტი ისეთი აქტივობების ორგანიზებაზე გაკეთდეს, რომლებიც სხვათა კომპეტენციებისა და გამოცდილების ეფექტურ გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება, ორგანიზაციებში ვიზიტი და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, სკოლებში მოხდეს არაფორმალური განათლების სერვისების, მაგ.: Myprofession.gov.ge-ს გამოყენება. ვებგვერდზე ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციურად მომზადებული რესურსებია განთავსებული, რომელთა ადეკვატურად გამოყენება სკოლებს დაეხმარება, უფრო სასარგებლო სერვისები შესთავაზონ ახალგაზრდებს; ვებგვერდის შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება თავად ახალგაზრდებსაც აძლევს შანსს, დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ სერვისებით.



6 <https://euroguidance.eu/guidance-system-in-germany>

7 კვლევა: კარიერული კონსულტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა: არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემები, გამოწვევები, მოლოდინები და განვითარების პერსპექტივები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაკვეთით, განხორციელებული ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრის (PMC) მიერ. (2016)

ასევე, მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის კარიერულ კონსულტაციაზე მომზადებული ლიტერატურის თარგმნა და შესაბამისი სკოლებისთვის ან სექტორებისთვის მიწოდება; უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში კარიერის დაგეგმვის სერვისების განვითარება ისე, რომ ხელს უწყობდეს ახალგაზრდების მარტივად გადასვლას შრომის ბაზარზე. აუცილებელია სტაჟირების პროგრამების გააქტიურება.

ციფრულ ეპოქაში მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების სერვისების განვითარება; მაღალი ხელმისაწვდომობისა და ციფრული ფორმატით მიწოდების აქტუალობის გათვალისწინებით, აუცილებელია არსებული myprofession.gov.ge-ს პლატფორმის შინაარსობრივი და ტექნიკური განახლება, PR სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ცნობადობის გაზრდის მიზნით. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდული მუშაკების ინსტიტუტის განვითარება, მათთვის საბაზისო საფეხურის კარიერული კონსულტაციის კომპეტენციების ათვისება/განვითარების მხარდაჭერა.

არაფორმალური განათლების ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების მობილური პროგრამების შექმნა და დანერგვა; კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ჯგუფების მიერ საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება რეგიონებში.

სხვადასხვა საჭიროების მიხედვით, მრავალფეროვანი, კვალიფიციური სერვისები და მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, მიიღონ გააზრებული კარიერული გადაწყვეტილებები, დაგეგმონ, შეცვალონ, მართონ საკუთარი კარიერა და მომავალი.



გამოყენებული წყაროები:

<http://myprofession.gov.ge/>

<https://euroguidance.eu/guidance-system-in-germany>

<https://www.gov.uk/government/publications/careers-strategy-making-the-most-of-everyones-skills-and-talents>

<https://www.cedefop.europa.eu/en/tools/resources-guidance/handbook-transferability/case-studies>

https://www.ncda.org/aws/NCDA/pt/sd/product/32893/BLANK/layout_products/false

კვლევა - კარიერული კონსულტაციის სერვისების ხელმისაწვდომობა: არსებული ვითარების ანალიზი, პრობლემები, გამოწვევები, მოლოდინები და განვითარების პერსპექტივები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაკვეთით, განხორციელებული ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრის (PMC) მიერ. (2016).

